

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 7 6 1

ქ. ბათუმი, 29 აგვისტო 2016 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 04 აგვისტოს №43 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 10 670,0 (ათი ათას ექვსას სამოცდაათი) ლარის საერთო ღირებულების მქონე 5500 ცალი კრამიტი და 77178,0 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ას სამოცდათვრამეტი) ლარის საერთო ღირებულების მქონე 2100,0 კვმ ტროტუარის მოსაპირკეთებელი ფილა (მეორადი).

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

3. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ქონების სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს მალხაზ დარჩიას.

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი